ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის
ოქმი №5

დაბა ქედა **29 ივლისი, 2021 წელი**

სხდომა დაიწყო 16:20 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 16:50 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა: ამირან დევაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
როსტომ შერვაშიძე - კომისიის წევრი
უშანგი დუმბაძე - კომისიის წევრი;
მამუკა გოგოლიშვილი - კომისიის წევრი

სხდომას არ ესწრებოდა:
ვაჟა ბოლქვაძე - კომისიის წევრი;

სხდომას ასევე ესწრებოდა:
საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ლაშა ბერიძე.
ქედის მუნიციპალიტეტისმერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი- დავით თედორაძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

29.07.2021 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან დევაძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	როსტომ შერვაშიძე	კომისიის წევრი	
3	ვაჟა ბოლქვაძე	კომისიის წევრი	
4	უშანგი დუმბაძე	კომისიის წევრი	
5	მამუკა გოგოლიშვილი	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის წესრიგი:

1. **ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი.**

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 ივლისის №23 განკარგულებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება **ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე.** განკარგულების შესაბამისად დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებების წარდგენის ვადად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში განისაზღვრა 2021 წლის 28 ივლისი დღის 18 საათამდე.

აღნიშნულ პერიოდში ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის საკონსულტაციო დასკვნა (შემოსული დოკუმენტი №77/04; 26.07.2021 წელი), რომლითაც გამოთქმულია შენიშვნები მხოლოდ სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით.

საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ლაშა ბერიძემ განმარტა, რომ აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინების მიზანით მიზანშეწონილია სამართლებრივი აქტის პროექტში შევიდეს ცვლილებები და ჩამოყალიბდეს დანართი №1-ის შესაბამისად.

მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა - დავით თედორაძემ აღნიშნა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში დღემდე არ წარმოდგენილა საქართველოს მთავრობის თანხმობა გათვალსიწინებული შტატების მატებასთან დაკავშირებით. შესაბამისად მიზანშეწონილია საკითხის განხილვა საკრებულოს სხდომაზე გადაიდოს, და განისაზღვროს 2021 წლის აგვისტოს თვით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები კომისიის წევრებს არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხის გაგადების შესახებ წინადადება კენჭისყრაზე დააყენა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 4
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:
მიზანშეუწონილად ჩაითვალოს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კომისიის თავმჯდომარე: ამირან დევაძე